

## სტუდენტთა აკადემიური მობილობის ოპტიმალური განაწილების ინფორმაციული სისტემის ფუნქციონირება

გურამ ჩაჩანიძე, ნუკრი სირაბიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
რეზიუმე

განხილულია აკადემიური მობილობის ოპტიმალური გადაწყვეტილების განაწილების ინფორმაციული სისტემის ფუნქციონირება. აღნიშნული სისტემა ემსახურება სტუდენტის მობილობის განხორციელების გადაწყვეტილების მიღებას ინტერაქტიურ რეჟიმში. სისტემა სტუდენტს აძლევს მაქსიმალურ საშუალებას დაადგინოს სასურველი მობილობის შეზღუდული რესურსები; გამოავლინოს პოტენციური ალტერნატივები; ჩაატაროს ალტერნატივების ანალიზი; შეძლოს მისთვის საუკეთესო ალტერნატივის შერჩევა; მიიღოს წინასწარი გადაწყვეტილება და შემდგომი ანალიზის და შეფასების საფუძველზე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი განათლება. მობილობა. ინფორმაციული სისტემა. გადაწყვეტილების მიღება. ოპტიმალური განაწილება.

### 1. შესავალი

უნივერსიტეტის ავტონომიით და პროფესორ-მასწავლებლების აკადემიური თავისუფლებით მიღებული უფლებამოსილება და საკუთრების მფლობელობა უნდა იძლეოდეს გაუმჯობესებულ სასწავლო პროგრამას და სტუდენტთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას. ეს აძლევს სასწავლო პერსონალს მეტი მოქნილობის საშუალებას, სტუდენტებს უადვილებს მობილობის განხორციელებას, ხოლო ადმინისტრაციულ პერსონალს სთავაზობს მეტ საშუალებას სტუდენტთა სრულყოფილი მომსახურებისათვის.

პრობლემები, რაც წარმოიშობა უნივერსიტეტში მობილობის პრაქტიკული განხორციელების პროცესში, პირველ რიგში უკავშირდება, როგორც ქვეყნის შიგნით არსებული უნივერსიტეტების, ასევე უცხოური სასწავლო დაწესებულებების მხრიდან სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების სიმძნელეს. მეორეს მხრივ (ხშირ შემთხვევაში) ადგილი აქვს როლების და პასუხისმგებლობების გადანაწილების სირთულეებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სტუდენტების და მშობელთა მხრიდან. ეს თავს იჩენს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ სურს სტუდენტის მობილობაზე გადაწყვეტილების მიღება (ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების პროცესში არსებობს პრობლემა), რადგან ის კარგავს სტუდენტის გარკვეულ კონტინგენტს. ეს ხდება მაშინ, როცა ადგილი აქვს უნივერსიტეტიდან სტუდენტის მობილობით გადინებას (და არა შემოდინებას), და მობილობის გადაწყვეტილებების მიღება არ წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ფუნქციას (მხოლოდ სტუდენტის პირადი გადასაწყვეტია). უნივერსიტეტის ფუნქცია ამ შემთხვევაში არის მონიტორინგი გაუწიოს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, განავითაროს გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პროცესი, რომელიც კონფლიქტს კი არ წარმოშობს, არამედ აღიარებს მობილობის საყოველთაობას, გეგმიურად მართავს მას თავის უფლებამოსილების

ფარგლებში (დოკუმენტების მომზადება სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ და სხვ.), რათა მობილობა განხორციელდეს ოპტიმალურ დონეზე.

მიუხედავად იმისა, სტუდენტი ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებას მობილობაზე, თუ ჯგუფურად (მშობლებთან, ოჯახთან, მეგობრებთან და ა.შ. ერთად), ამ მიზნის პრაქტიკულად განხორციელებაში საჭიროა, იხელმძღვანელოს გარკვეული კონცეფციებისა და წესების დაცვით.

## 2. ძირითადი ნაწილი

გადაწყვეტილების მიღების რეკომენდებული პროცესი ეფუძნება რაციონალურ თეორიას, დისკუსიას, რომლის დროსაც წარმოჩინდება გადაწყვეტილების მიღების კომპლექსურობა, მისი რაციონალური და ნაკლებად რაციონალური მხარეები. უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილების მიღების ძირითადი ეტაპები? ყველა სასაგნო არესათვის, იქნება ეს სტუდენტთა მობილობა, თუ რთული ობიექტის მართვა, არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

გადაწყვეტილების მიღების პირველი ეტაპი, მისი აუცილებლობის დადგენა ნიშნავს იმას, რომ სტუდენტმა ზუსტად უნდა განსაზღვროს იმ სიტუაციის არსი, რომელიც გადაწყვეტას ითხოვს. საქმე იმაშია, რომ სტუდენტმა არ დააპიროს ისეთი მობილობა, რომელიც მისთვის შეუსაბამოა, ნაჩქარევია, არ არის აუცილებლობით გამოწვეული. სტუდენტს პირველ რიგში სჭირდება უკეთ ჩასწვდეს იმ საკითხს, პრობლემასა თუ გარემოებებს, რაც სავარაუდოდ მოითხოვს მობილობის გადაწყვეტას. მან საკმარისი დრო უნდა დაუთმოს იმ პირობების გამოკვლევას და გაანალიზებას, რომელიც აყენებს მობილობის აუცილებლობას. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეამცირებს არაეფექტიან გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობას. თუ სტუდენტი გაითვალისწინებს ასეთ მოსაზრებას, მაშინ ის შედეგად მიიღებს გაცილებით ეფექტიან გადაწყვეტილებას.

პრობლემის ეფექტიანი სიტუაციური ანალიზი საჭიროა იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ არასწორი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ეფუძნება სიტუაციის ან პრობლემის არაადეკვატურ გაგებას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის იარსებებს დროის შეზღუდვები და იქნება იმის ცდუნება, რომ საკითხის შესახებ ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი და საინტერესო ინფორმაცია ვეძიოთ, უნდა ვეცადოთ მოვიპოვოთ ყველაზე არსებითი, სწორი და დეტალური ინფორმაცია, რაც კი სიტუაციის, ან პრობლემის შესახებ არსებობს. ცუდად გაგებული სიტუაცია, ან არაადეკვატურად აღქმული პრობლემა არაეფექტიან გადაწყვეტილების მომტანი იქნება.

მობილობის პრობლემის ან სიტუაციის დადგენისას, სტუდენტი, ჩვეულებრივ იწყებს ალტერნატიული უნივერსიტეტების მოძიებას და შეცნობას. გადაწყვეტილების ხერხებსა და მეთოდებში გამოუცდელი სტუდენტი უშვებს გადაწყვეტილების მიმღების ტიპურ შეცდომას, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ორ ალტერნატივას (ორ არჩევანს) უარყოს ან მიიღოს მობილობის გადაწყვეტილება. მაგრამ, თუ სტუდენტი გააგრძელებს სიტუაციის შემდგომ კვლევას, რაც მდგომარეობს უნივერსიტეტების (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ფარგლებს გარეთ) მოძიებაში, იქ არსებული სპეციალობების შესახებ ინფორმაციის დამუშავებაში, სხვადასხვა პირობის შესწავლაში და ა.შ., მაშინ შესაძლოა გამოჩნდეს მოქმედების დამატებითი გზები.

ის, რაც მობილობის მსურველმა სტუდენტმა დაბეჯითებით უნდა იცოდეს, არის ალტერნატივების აღქმა და მისი ანალიზი. უმეტეს შემთხვევაში, სტუდენტი მოგებული დარჩება პრობლემის ასეთი მიდგომითა და შესწავლით, რამდენიმე ალტერნატივის მოძიებით. ეს პროცესი სტუდენტისაგან მოითხოვს დეტალურ ანალიზს, წარმოსახვასა და შედეგად სტუდენტს აძლევს გაუმჯობესებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მანამდე იდენტიფიცირებული იყო ზემოთქმულ ორ ალტერნატივის კომბინაციასთან - უარყოს ან მიიღოს მობილობის გადაწყვეტილება.

სტუდენტი, რომელიც ადეკვატურად ვერ აფასებს სხვადასხვა განსახილველი ალტერნატივის სიმრავლიდან შერჩეულის თავის მიზანთან შესაბამისობას, საბოლოო გადაწყვეტილების განხორციელებისას შესაძლებელია გაუთვალისწინებელი შედეგი მიიღოს. გაუთვალისწინებელი შედეგის მიღება შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მიზეზმა, როგორცაა: უნივერსიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის ორაზროვნება, ალტერნატივებს შორის არჩევის შეფასებების ბუნდოვანება, რაც უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების არასრულფასოვნების გარანტიას.

ჩვეულებრივად კი, გაუთვალისწინებელი შედეგები გამოწვეულია სტუდენტის უცოდინარობით და უუნარობით – ეფექტურად განსაზღვროს და კრიტიკულად შეისწავლოს სავარაუდო ვარიანტები ალტერნატივების შეფასებისას. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ თითქმის შეუძლებელია ეფექტური გადაწყვეტილების მიღება, ან სასურველი მობილობის განხორციელება, გარკვეული ვარაუდების გარეშე, რომელიც სტუდენტმა საწყის ეტაპზე უნდა ჩამოაყალიბოს. ვარაუდების განხილვის და შესწავლის გარეშე, თუ რამდენად განხორციელებადია თითოეული ალტერნატივა, გადაწყვეტილების მიღება შეიძლება სტუდენტისათვის გარკვეული საშიშროების შემცველიც კი გახდეს. სხვადასხვა ალტერნატივების შეფასებისას სტუდენტს ესაჭიროება განსაზღვროს შესაძლო შედეგები.

### 3. დასკვნა

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელია შეიქმნას სტუდენტთა აკადემიურ მობილობის ოპტიმალური განაწილების ინფორმაციული სისტემა, რომელიც მობილობის მსურველ პირს, მობილობის შემთხვევაში გაუადვილებს შესაძლო მობილობის სასწავლებლების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, პროგრამა იქნება ადვილად ასათვისებელი, მოსახერხებელი, მრავალფუნქციური, სწრაფი, ასევე შეეძლება, შეარჩიოს შესაძლო მობილობის უნივერსიტეტების ჩამონათვალიდან ოპტიმალური უნივერსიტეტი და მიაწოდოს მობილობის მსურველ პირს რეკომენდაციის სახით.

შედეგად მივიღებთ სტუდენტთა აკადემიურ მობილობის ოპტიმალური განაწილების ინფორმაციულ სისტემას, რომლითაც მობილობის მსურველი პირი შეძლებს თავი აარიდოს არასასურველ მობილობას.

### ლიტერატურა - References – Литература:

1. ბელთაძე გ., ჯიბლაძე ნ. (2009) - გადაწყვეტილებათა მიღების თეორია (I ნაწილი) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი.

2. გუნაშვილი ზ. დამტკიცების პედაგოგიური დანიშნულება მათემატიკაში. <http://mastsavlebeli.ge>.

3. გოგიჩაიშვილი გ., ჩაჩანიძე გ., ნანობაშვილი ქ. (2005). ავტომატიზებული მართვის მოდელები (ლოგიკური და გრაფული მოდელები). სტუ. თბილისი.

4. ნანობაშვილი ქ., ჰარმანი (2012). სტუდენტთა მობილობის პრობლემების კვლევა და ანალიზი. II-საერთაშ. სამეც. კონფ. მოხს. თეზ., „კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება“. ბათუმი, 21-23 სექტ.

5. საინფორმაციო სემინარი მობილობის შესახებ. ტემპუსის საინფორმაციო შეხვედრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. <http://www.tempus.ge/index.php?option>.

6. Лукичев Г.А. (1997). Международная академическая мобильность: динамика и новые тенденции. Бюллетень «Инкорвуз». № 2(21), ст.71.

7. Доклад международной комиссии по образованию (1997). предоставленный для ЮНЕСКО "Образование: скрытое сокровище" - М., Изд-во ЮНЕСКО.

## FUNCTIONING OF THE OPTIMAL DISTRIBUTION INFORMATION SYSTEM OF STUDENT ACADEMIC MOBILITY

Chachanidze Guram, Sirabidze Nukri  
Georgian Technical University

### Summary

Realization algorithm and software provision of academic mobility optimal solution conceptual model is developed. The system serves the implementation of student mobility decision-making in an interactive mode. The system allows the student to determine the limited resources of desired mobility; Identify potential alternatives; Conduct an analysis of alternatives; Be able to select the best alternative; To make preliminary decision and the subsequent analysis and evaluation on the basis of a final decision.

## ФУНКЦИОНИРОВАНИЕ ИНФОРМАЦИОННОЙ СИСТЕМЫ ОПТИМАЛЬНОЕ РАСПРЕДЕЛЕНИЕ АКАДЕМИЧЕСКОЙ МОБИЛЬНОСТИ СТУДЕНТОВ.

Чачанидзе Г. Сирабидзе Н.  
Грузинский Технический Университет

### Резюме

Рассмотрено функциональность информационной системы оптимального решения академической мобильности. данная Система служи принятия решений в процессе мобильности студентов в интерактивном режиме. Система позволяет студенту определить желательные максимальные мобильность ограниченных ресурсов; Выявление потенциальных альтернатив; Провести анализ альтернативных вариантов; Уметь выбрать лучший вариант; Предварительное решение и последующий анализ и оценка на основе окончательного решения.